წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

კვირა 3 ივლისი

# სამშობლო

№ 395

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი, პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ ვანცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ელისაბედ (ზუზი) საბას ასული და შვილები მისი: ალექსანდრე, ვლადიმერ, ვიქტორ, გრიგოლ, მარიამ და ნინა ივანეს ძენი და ასულნი, რძალი მისი კალერია დავითის ასული ბოჭორიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ 29 ივნისს, დილის 4 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის უძვირფასესი მამა და მეორეთა დაუვიწყარი ბაბუა

### საბა გაბრიელის ძე გოგავა.

დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს 5 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე, ახალ მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (მესხეთის ქუჩა).

ღრმა მწუხარებაში მყოფი ქვრივი კესარია გრიგოლის ასული გოგავასი შვილებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, რომ 29 ივნისს გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი მეუღლე

### საბა გაბრიელის ძე გოგავა.

მიცვალებულს გამოასვენებენ მესხეთის ქუჩაზე საკ. სახლიდან სამშაბათს, 5 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე და დაკრძალვენ ახალ მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში.

232 პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე. 1—1

ქვრივი ვერა საბას ასული კიკნაძისა და ქალი ამისი ეკატერინე უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და ახლო მეგობრებს გარდაცვალებას პირველი უძვირფასესი მამისას, მეორე ბაბუის

### საბა გაბრიელის ძის გოგავასას.

დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს, 5 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე, ახალ მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან მესხეთის ქუჩა.

233 1—1

გულდამწვარი და თავზარდაცემული მშობლები: მინადორა სიმონის ასული, გიორგი კოსტას ძე, დები: მარიამ, პელო და ძმა ალექსანდრე ქუთათელაძეები უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პირველ ივლისს უდროოდ გარდაიცვალა პირველთა უსაყვარლესი შვილი, მეორეთა ძვირფასი და დაუვიწყარი და, და უკანასკნელის ძმისწული — ხონის ქალთა მარიამის სასწავლებლის 3 კლასის მოწავე

### ნატალია (ნატო) გიორგის ასული ქუთათელაძე.

დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს, 5 ივლისს, სოფელ ივანდიდში, წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საა ?—? ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ბებია** მ. მ. **ქობხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ი. **ჩარიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8სათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც

დ. ლაილაში.

**კბილის ექიმი**

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს.

სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

**ბორჯომში**

**ექიმი** სიმონ **ხეჩინოვი** 25 ივანობისთვიდან 25 მარიობისთვემდე მიიღებს ავათმყოფებს **ბორჯომში** (საყდრის ქუჩა № 98).

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან 30 ივნისიდან ახალი პროგრამა

### ცასხვათა ხეივნის საიდუმლოება.

თანამედროვე დრამა 4 ნაწ. ა მ. კაზუხინის რომანით, საიმპერატორო მცირე თეატრის მსახიობის ვ. მაქსიმოვის მონაწილეობით და რეჟის. ვ. კ. ტატიშჩევის მიერ დადგმული.

**ქმარს ვემებ ჩემი ცოლისთვის**, მხიარული კომედია — ფარსი 2 ნაწ. ცნობილ მსახიობის კამილლო დე რიზოს და სხვათა მონაწილეობით

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 30 ივნისიდან ახალი პროგრამა. **გომონის ქრონიკა**, მიმდინარე ამბები.

### ულტუს-შურისმაძიებელი.

კინო-რომანი 6 ნაწილად. უმთავრეს როლს ლონდონის სამეფო თეატრის მსახიობი ორელ სიდნეი ასრულებს. დეკორაცია ინგლისის ცნობილ მხატვარის მდ. ჯევეის ესკიზების მიხედვით.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

### უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი** 30 ივნისი. მდ. დვინაზე ფრიდრიხშტადტის ზემოდ და ქვემოდ ჩვენი მზვერავები მარჯვედ მოქმედებენ. მდ. სტოხოდზე საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენი ჯარის ზურგის უკან მტრის რამდენიმე საჰაერო ესკადრა დაფრინავდა. მფრინავები ყუმბარებს ჰყრიდნენ და ტყვიისმფრქვეველებს გვიშენდენ გალიციაში ქვედა სტრიპის დასავლეთით ალაგალაგ მედგარი ბრძოლებია, მტერს ენერგიული კონტრიერიშები მოჰქონდა. აქ ჩვენ დავატყვევეთ 2000 ჯარის კაცი, ხელთ ვიგდეთ ერთი ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველი.

**პეტროგრადი.** 1 ივლისი. დრისვიატის ტბის ჩრდილოეთით ჩვენი მზვერავები მარჯვედ მოქმედებენ. ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფ. პოლონაჩკში გერმანელთა მფრინავებმა 70 ყუმბარა ჩამოაგდეს. მდ. სტოხოდის მარცხენა ნაპირზე ჩვენ წინ წაწეულ პოზიციებზე იერიში მოაქვთ. ქვედა ლიპის ჩრდილოეთით მტრის არტილერია ძლიერ ცეცხლს ანვითარებდა სტრიპის დასავლეთით ავსტრიელებს. და გერმანელებს მკაცრი კონტრიერიშები მოქონდათ. დღევანდლამდე ჩვენ აქ დავატყვევეთ 3200 გერმანელი და ავსტრიელი, ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, 19 ტყვიისმფრქვეველი და ერთი ყუმბარის მტყორცნელი.

### კავკასიის ასპარეზი.

არზრუმის მიდამოების დასავლეთით ჩვენი წინსვლა მეტად მარჯვედ ვითარდება მთელი რიგი ოსმალთა სიმაგრეებისა უკვე ჩვენს ხელში გადმოვიდა. ზოგიერთ დასავლეთით მიმავლი ოსმალთა დიდი ჯარები მოსჩანან. ოსმალები სცდილობენ შემთხვევითი პოზიციებზე შეჩერებას, ჩვენს ჯარს იერიში მიაქვთ მათზე მასატ-დერესდელეში ჩვენმა ბატარეამ ოსმალთა საომარ მასალის საწყობი აафეთქა. ერთ-ერთმა ტურკესტანის პოლკმა 12 გაფთრებული იერიში მოიგერია, თვითონ შეუტია მტერს და წინ წაიწია.

**პეტროგრადი.** 30 ივნისი. ხელჩართული ბრძოლების შემდეგ ოსმალები ბაიბურთის აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეებიდან განვდევნეთ. მამახათუნის დასავლეთით ჩვენი ჯარის წინსვლა გრძელდება. მედგარი ღამის ბრძოლის შემდეგ ჩვენ აქ რამდენიმე სიმაღლე ავიღეთ. მამახათუნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოსმალები წინ წამოსვლას ცდილობდენ, მაგრამ უკუ ვაქციეთ მტრის დევნის დროს სოფ. ჯებახეი და ალმალი ავიღეთ.

### შ ა ვ ი ზ ღ ვ ა.

ზღვის დასავლეთ ნაწილში ჩვენმა ნაღმოსნებმა ნავთითა და ქერით დატვირთული ოსმალური ტრანსპორტი „იშტიხადი“ შეიპყრეს, და მშვიდობიანათ ჩვენ ნავსადგურში მოიყვანეს, სხვა ნაღმოსნებმა. 29 ივნისს მდინარე მელონის პირთან (ქ. ერეგლის დასავლეთით) გავანადგურეთ ერთი საბარგო გემი, ორი ბუქსირი.

### კავკასიის ასპარეზი.

არზრუმის მერედიანის დასავლეთით ჩვენი წინსვლა ვითარდება. ზოგ ალაგას ტყუილად სცდილობენ ოსმალები კონტრიერიშების მოტანას.

**პარიზი**. 30 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მაასის მარჯვენა მხარეს სამნიშვნელო არა მომხდარა რა, გარდა ცხოველი საარტილერიო ბრძოლისა სუვილთან.

**ჰავრი**. 30 ივნისი. ბელგიის ოფიციალური ბრძოლის პირზე საყურადღებო არა მომხდარა რა.

**ლონდონი**. 30 ივნისი. ოფიციალური ცნობა ბრიტანიის მთავარი ბინისა საფრანგეთიდან. სხვადასხვა ნაწილში საარტილერიო ბრძოლა მოხდა, ზოგ ალაგას ბრძოლა გრძელდება. საერთო მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ლაბასეს არხის სამხრეთით გერმანელები ეცადნენ თავს დასხმოდენ ინგლისელებს, მაგრამ უკანასკნელებმა მოიგერიეს. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, როგორც ინგლისელების, ისე გერმანელების ჰაეროპლანები მოქმედობდენ. გერმანელების საფრებმა იერიში მიიტანეს ინგლისელების იმ საფრებზე, რომლებიც გერმანელთა ხაზზე დაფრინავდენ; ინგლისელებმა იერიში მოიგერიეს, მხოლოდ ერთი მათი საფრენი უკან არ დაბრუნებულა.

**ლონდონი** 30 ივნისი ასპარეზის ზოგიერთ ნაწილში ადგილობრივი ბრძოლები გრძელდება. მამეცის ტყეში ინგლისელებმა მთლათ დაიბრუნეს წინა ღამით დაკარგული მიწა-წყალი ამ ხანად მთელი ტყე ინგლისელების ხელშია. მრავალი გერმანელთა ლეში ჰმოწმობს იმას, თუ რა ძვირად დაჯდომიათ გერმანელებს გუშინდელი იერიშები. გერმანელებმა კონტალ მეზონზე ორი იერიში მიიტანეს, მაგრამ უშედეგოდ.

**პარიზი** 29 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდ. სომმის ასპარეზზე დღის განმავლობაში არაფერი საყურადღებო არა მომხდარა რა. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე მორტჰომის ნაწილში საკმაოდ ცხოველი საარტილერიო ბრძოლა მოხდა. მარჯვენა ნაპირზე დილით გერმანელებმა სუვილს შეუტიეს. დილის 10 საათზე მძაფრი საარტილერიო მომზადების შემდეგ სოფ. ფლერის და ვოშაპიტრის ტყის მხრიდან გერმანელების ექვსმა პოლკმა ერთს ალაგზე იერიში მიიტანა. ვიწრო ადგილზე ძლიერმა ჯარმა მედგარი იერიში მიიტანა. გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს და ხელთ კი იგდეს ნაწილი სოფ. საპელსეტფინისა, რომელიც ფლერი ვოს ჯვარედინ გზაზე მდებარეობს. კვლავ გამწარებით უშენდნენ გერმანელები სუვილე შენუა და ლაფოფს. ლოტარინგიაში ვდობილიერის აღმოსავლეთით გერმანელები ფრანგების ერთი თხრილის ხელში ჩაგდებას ეცადნენ, მაგრამ ფრანგებმა მოიგერიეს.

**ჰავრი**. 29 ივნისი. ბელგიის ოფიციალური ცნობა. ასპარეზზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო.

**ლონდონი** 30 ივნისი. ოფიციალური ცნობა. ინგლისელთა ადრიატიკის ფლოტის ადმირალი იტყობინება: ავსტრიელთა კრეისერი „ნოვარა“ თავს დაეცა ინგლისის სადარაჯო ტრალერებს, ორი მათგანი „ასტრუმპეი“ და „კლანესი“ დაღუპა, მხოლოდ „ფრიგატერპირდი“ და „ბენბუი“ დააზიანა, ორი უკანასკნელი გემი ნავსაყუდარში დაბრუნდა „ასტრუმპე“-ის მსახურნი კრეისერმა ტყვედ წაიყვანა. ეს ამბავი ნამეტნავად გაეზვიადებინა გერმანულ რადიოტელეგრაფს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება: ინგლის გერმანიის ფრონტზე უმეტეს ნაწილად ბრძოლა ნაღმებით ხდება. ასეთი ბრძოლა უამრავ ძალას იწირავს. უკანასკნელი იერიშების დროს ორივე მხრიდან საერთოდ დახოცილია 78000 კაცი. აქ ნაჩვენები არ არის დაჭრილთა და ტყვეთ წაყვანილთა რაოდენობა.

— —

ავსტრო გერმანელებმა დაამთავრეს ტემიშვარის გამაგრება. ქალაქის კედლებთან 42 სანტიმეტრიანი ზარბაზნები დგას.

— —

ავსტრიელებმა სერბიიდან თავის ჯარის უდიდესი ნაწილი გალიციაში გადმოიყვანეს.

— —

მთაშავეთში მყოფს ავსტრიის გენერალ კევეშს ებრძანა საჩქაროდ გაემართოს ტრანსილვანიის საზღვრებისკენ და რუსის ჯარის წინსვლა შეაჩეროს.

— —

ბუქარესტიდან მოსული ცნობით, იტალიის ასპარეზიდან ავსტრიის სამხედრო შტაბმა გალიციისთვის კიდევ 32 კორპუსი ჯარი გადმოიყვანა.

— —

ლონდონიდან იტყობინებიან, გერმანიის სანგრები ისეთ ნაირათ არის გამაგრებული, რომ მას ვერც არტილერია აკლებს რასმე და ვერც ნაღმებით.

— —

პარიზიდან იუწყებიან, ფრანგთა ჯარი უკვე მიადგა ჰერსანს, მაგრამ მისი აღება ჯერ ვერ მოხერხდება, რადგან ფორტი უკიდურესად არის გამაგრებულიო.

— —

სარაევოში მოკლულ ფრანც ფერდინანდის შვილს შეუდგენია ერთი საზოგადოება, რომელიც საჩქაროდ ზავის ჩამოგდებას ითხოვს. ხსენებულ საზოგადოებაში 14,000 კაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

——

**აღმოსავლეთის ასპარეზი**. მდ. დვინის ასპარეზზე რუსის მზვერავები მარჯვეთ მოქმედებდენ. გერმანელთა ჰაეროპლანები კვლავ დათარეშობენ რუსის ჯარის ზურგს უკან. სოფ. პოლონაჩკაში 70 ყუმბარა ჩამოაგდეს. მდ. სტოხოდზე ბრძოლები განელდა. ახლა აქ მხოლოდ არტილერია მოქმედებს. ორივე მხრით. ქვედა სტრიპის ჩრდილოეთით გერმანელთა არტილერია მძლავრად მოქმედებდა.

**კავკასიის ასპარეზი**. არზრუმის მიდამოების დასავლეთით და ბაიბურთის იქით რუსების წინსვლა ვითარდება.

**დასავლეთის ასპარეზი**. ჩრდილოეთის ზღვიდან მოყოლებული ვერდენამდე სიწყნარეა. ბრძოლები შესწყდა აგრეთვე მაასის მარცხენა ნაპირზე. მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა გაორკეცებულის ენერგიით დაუშინეს ზარბაზნები ვერდენის უკანასკნელ საფარებს. მათ ფლერი-ვოშაპიტრის ტყე აუღიათ და ეხლა პირდაპირ სუვილისათვის შეუტევიათ...

**იტალიის ასპარეზი**. ასპარეზის ზოგიერთ ნაწილში მარჯვეთ მოქმედობენ და ავსტრიელების იერიშებს იგერიებენ.

**ზღვაზე**. შავზღვაზე რუსებმა ორი საბარგო გემი და ერთი ბუკსირი დაატყვევეს. ადრიატიკის ზღვაზე ავსტრიელთა კრეისერმა ინგლისის ორი ნაღმის ამომკრები გემი დაიღუპა, ხოლო ორი კი დააზიანა, ერთი გემის მსახურნი დაატყვევა.

---

სტოხოდთან ბრძოლა მეტად ფართო ხასიათს იღებს. გერმანელები კოველის ხაზის დასაცავად დიდძალ ჯარს უყრიან თავს.

——

რუსის გენერალ კოლედინის ჯარი მდ. სტირს უახლოვდება.

——

მდ. სტოხოდი რუსებს სულ ერთიანად დაუნაღმავთ.

——

შავი ზღვა ამ ბოლო ხანს მუდმივ ბრძოლების არენად გადაიქცა. „გებენი“ და „ბრესლაუ“ რიზესა და ანატოლიის ნაპირებთან თავისუფლად თარეშობენ,

ამ უკანასკნელ დროს წყალქვეშა გემმა ჩასძირა ბათომთან მდგომი საჰოსპიტლო გემი „ვპერიოდი“.

——

პოლონეთში გერმანელებს მთელი ვაჭრობა-მრეწველობის მონოპოლიზაცია გამოუცხადებიათ.

——

სერბიის მთავრობა კუნძ. კორფუდან ტულუზაში გადადის.

——

სოფიის სამხედრო ავტორიტეტები ირწმუნებიან, რომ სალონიკის ფრონტზე საერთო შეტევა ივლისის თვეში დაიწყებაო.

——

ამსტერდამიდან იუწყებიან, ქ. მიუნხენსა და ქვემო ბავარიაში დიდი წყალდიდობა ყოფილა.

——

„რუსკ. სლოვო“-ს ცნობით, ვოლინსკისა და პოდოლის გუბერნიები გალიციის ახალ საგენერალ გუბერნატოროს უნდა შეუერთდეს.

——

ოსმალეთის ხონთქარმა აჯანყებულ არაბთა შერიფი მექას სულთანი ტახტიდან გადმოაგდო და მის მაგიერ შერიფად ალი ჰაიდარ ფაშა, ახალ გაზდა ოსმალთა პარტიის წევრი დანიშნა.

——

ფორტ „ვო“-ს აღების გამო, ვილჰელმს ვერდენის ბრძოლის მეთაურ კრონპრინცისთვის შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნია: „გერმანიის იმპერიის კრონპრინცს: აღტაცებაში მოვყევარ თქვენს ვაჟკაცობას. გისურვებ წინსვლას და გთხოვ ჩვენს მამაც ჯარს მადლობა უძღვნა ჩემს მაგივრად“.

——

„ბირჟ. ვედ.“ სამხედრო მიმომხილველი შუმსკი სწერს, რომ კოველის ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და შეიძლება ამ ბრძოლამ გადასწყვიტოს რიგა დვინის ასპარეზის ბედიო.

——

ინგლისმა ჰოლანდიას აუკრძალა გერმანიაში მანუფაქტურული ნაწარმოების გაზიდვა.

——

ლიუქსემბურგიდან გერმანელებს დიდძალი ხორბალი გაუზიდავთ.

——

პარიზში შეთანხმების სახელმწიფოთა ეკონომიურ კონფერენციაზე, სხვათა შორის, შეხებიან რუსეთის პოლონელთა და ებრაელთა საკითხს. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ეს საკითხი ამ მოკლე ხანში შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანდასწრებით პეტროგრადში უნდა განიხილონ.

---

## სამხედრო მიმოხილვა

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბის გუშინდელი ოფიციალური ფურცელი ერთ საყურადღებო ამბავს გვატყობინებს. მდ. სტოხოდზე ბრძოლები შეწყდარა და ახლა მხოლოდ არტილერია მოქმედებს.

სტოხოდის ბრძოლა გასაოცარი სიმკაცრით სწარმოებდა. 1000 კაცისა და ზარბაზნების დაკარგვას დღეში მებრძოლ მხარისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. პირიქით, რამდენიც მეტი ზარალი მოსდიოდა, იმდენ მეტ სიმკაცრეს და თავგანწირულებას იჩენდა.

არც ერთ მხარეს არ უნდოდა ბრძოლის ველის დათმობა. მართალია, რუსებმა მდ. სტირზე დაწყებული ბრძოლები უფრო დასავლეთით მდ. სტოხოდზე გადაიტანეს, მაგრამ გერმანელები მაინც წინ აღუდგენ რუსებს და არ გაუშვეს კოველისაკენ.

რუსები აქ მეტად ფართო გეგმის განხორციელებას აპირებენ. გაარღვიეს რა „დუბნო-ჩარტორიისკის გერმანელთა ჯარის ბრძოლის პირი, რუსებმა გააფართოვეს მოქმედების ასპარეზი. თუმცა პირველათ წინ გაჭრილ რუსის ჯარს სამი მხრით შემოერტყნენ გერმანელები, მაგრამ შემდეგ, შესძლეს რა გერმანელთა ჯარის რკალის გაშლა, სამი მიმართულებით შეუტიეს გერმანელებს. მთავარი ნაწილი რუსის ჯარისა პირდაპირ დასავლეთით გაემართა კოველისაკენ, დაიპყრო სტოხოდზე სოფ. ნავოზი და მდინარე გადალახა. მეორე ნაწილმა სამხრეთ-დასავლეთისკენ გასწია, ვლადიმერ-ვოლინსკისკენ, განვლო როჟეშჩე, მიაღწია სტოხოდს და კისელინს. ამ ჯგუფის მიზანი იყო ავსტრიელ ჯარების შებოჭვა, რათა არა გაეწიათ დახმარება გერმანელებ-სათვის.

დუბნო ჩარტორიისკის ხაზით მომქმედ რუსის ჯარის მესამე ნაწილმა ჩრდილო-დასავლეთით შეუტია მტერს, კოლკი დაიპყრო. ამ ნაირად, ჰფიქრობდენ, რუსები კოველის აღებას და მთელი აღმოსავლეთის ასპარეზის ორად გაყოფას, რაც ერთობ საზარალო იქნებოდა გერმანელებისათვის და რასაც პირდაპირ მოჰყვებოდა გერმანელ-ავსტრიელების უკან დახევა როგორც გალიციაში, ისე პოლესიეში.

ეხლა სტოხოდზე ბრძოლა შესწყდა და მის მაგივრად მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

შვერელი.

---

## საჭირო განმარტება.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოწოდებას ბევრმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და სხვადასხვა სიძველე მოგვაწოდა

ყველას გულმოდგინებას და თანაგრძნობას სიამოვნებით ვეგებებით, მაგრამ ვჩქარობთ აღვნიშნოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც მომჭირნეობა და თავაზიანობა მავნებელი გამოდის.

ზოგს უნახავს ძველი ფული, გაუფერავს და შემდეგ მოგვიტანა, მათზე ვეღარც მხატრობა, ვეღარც წარწერა ვერ გავარჩიეთ, ჩვენთვის კი ძველი ფული სწორედ ამ მხრივ უფრო საჭიროა, ვინემ როგორც საღირალი ნივთიერება ოქრო, ვერცხლი ან სპილენძი. ზოგს ფულები ჭურჭელში უნახავს, ფულები მოგვიტანა, ჭურჭელი კი გადაეგდო, შემდეგ შემთხვევით ჭურჭელიც ვნახეთ, აღმოჩნდა, რომ ჭურჭელი ფულზე უფრო საინტერესო ყოფილა, რადგან ჭურჭელი იშვიათი ეგზემპლიარი შეიქნა და ის ფული კი ჩვეულებრივი დაღის, რომლის მზგავსიც ბლომად იშოვება.

ჯოხზე ძველებურათ დახვეული ხელთნაწერი ზოგიერთს ახლანდელ ადათზე დაეკეცა და მოიტანა, დაკეცაში ხელთნაწერი ძლიერ დაზიანებული იყო. ზოგს დამტვერული ხელთნაწერის წმენდა დაუწყია და ამის გამო თვით ნაწერი წაუშლია. ერთ მნახველს ჯოხზე დახვეული ხელთნაწერი პარკში გახვეული ეშოვა, მაგრამ რადგან პარკი ჭუჭყიანი და გარედან გასამთლული ყოფილიყო (ამას განგებ აკეთებდენ, რომ ოფლს არ წაეხდინა ნაწერი, როცა უბეში იდებდენ პარკით), ამოელო და ისე წარმოგვიდგინა, (ძველათ გასამთლული-გამწვირული გონებოდა), მაშინ როდესაც თვით პარკი, როგორც ბუდე ანუ შესანახავი ძველი საბუთების მუზეუმისთვის საყურადღებო საგანია. ხელთნაწერ წიგნებში ზოგიერთს თავისი სახელი და გვარი ჩაუწერია, ზოგს თავის ცხოვრებიდან უმნიშვნელო ამბიც კი აღუნიშნავს ხელთნაწერის თავისუფალ კაბადონზე (ფურცელზე) და ამით წიგნები დაუმახინჯებია, ხშირი მაგალითია, რომ სიძველის მნახველი გულწრფელად ცდილობს სიძველე უკეთესი სახით წარმოგვიდგინოს, მაგრამ უცოდინარობით ნაშთს ღირსებას უკარგავს.

ყოველგვარი სიძველე ჩვენთვის სხვადასხვა მხრით არის საყურადღებო, ამიტომ საჭიროა სიძველე ისე მოვიდეს ჩვენთან, როგორც შენახულია; სიძველის მნახველი ნუ ცდილობს, რომ სიძველე გაფეროს, გაწმინდოს ან რამე საშუალებით სახე შეუცვალოს.

სამწუხაროთ, კიდევ არა გვაქვს ჯერ ისეთი სახელმძღვანელო პროგრამა, რომ ფართოდ გავავრცელოთ ხალხში და შევასწავლოთ ყველას როგორ ძებნოს სიძველე და როგორ მოექცეს მას, როცა იშოვის.

სანამდი ამ ფრიად საჭირო პროგრამას დაწვრილებით შევიმუშავებდეთ, დავბეჭდავდეთ და ხალხში დავარიგებდეთ, მანამდი ვსთხოვთ ყოველ მკითხველს თვითონაც მიიღოს მხედველობაში და სხვასაც აცნობოს ჩვენი შემდეგი განმარტება.

1. სიძველე ისე უნდა მოვიდეს ჩვენთან, როგორც არის, არც გაფერვა, არც გაწმენდა, არც გარეცხვა საჭირო არ არის.

2. თუ სიძველე გატეხილია ან გახეული, მისი გადამბა და დაკავშირება საჭირო არ არის.

3. თუ სიძველე მიწიდან ამოღებულია, უნდა აღინიშნოს სად იყო, რამდენ სიღრმეზე, როგორ იდვა, სიმაღლით, თუ არდიგარდა, ცალკე თუ სხვა ნივთებთან ერთად.

4. როცა მიწაში რამდენიმე საგანს ერთად ნახულობენ, მიუხედავათ იმასა, რომ სხვადასხვა იქნება, მაგალითად: ძვალი, ფული, ლითონი, ხე, ნართეულობა, თიხა, ქვა და სხვა ერთმანეთს მაინც ნუ დააშორებენ და ნურც გვერდს შეუცვლიან, რადგან ჩვენთვის თვით დაწყობის წესი და რიგის აღნიშვნაც გამოსაკვლევია.

5 მიწაში თუ ჭურჭელი ნახონ, შუშაა იგი თუ თიხა, თავღიაც რომ იყოს და შიგნით მიწა ანუ მტვერი ეყაროს, მაინც არ უნდა გამოიყაროს, მით უმეტეს, არ უნდა გამოირეცხოს, რადგან ჭურჭელში მტვერი რომ გონიათ, ის გამოსაკვლევი ნივთიერებაა და არა უბრალო მიწა.

6. ხელთნაწერი თუ დანგრეულია, მის დაწყობას ან რიგზე დალაგებას მნახველი ნუ შეუდგება, მით უმეტეს ზეთ არაფერი წააწეროს.

7 მიწაში ნახული ნივთი ცეცხლის სიახლოვეს არ უნდა დაიდვას, არც მზემ უნდა დახედოს მას.

---

## ოსმალეთის საქართველო

### (ლაზიკა, ტრაპიზონი და ჭოროხის მხარე).

გ. ვეშაპელისა.

ეს პატარა რუსული წიგნაკი, წელს მოსკოვის ქართული სამეცნიერო-სალიტერატურო საზოგადოების მიერ გამოცემული, ბევრს ისეთს ცნობას შეიცავს, რომელიც ქართველი მკითხველის უმეტესობისათვის მიუწთომელია. და, რადგან ეროვნული თვითშეგნებისა და თვითგამორკვევისათვის უპირველესად საკუთარი ეროვნული ვინაობის ცოდნაა საჭირო, ხსენებული წიგნაკის მოკლე შინაარსის გადმოქართულება საჭიროდ დავინახე.

უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ იმ წყაროების მიხედვით, რომელნიც ავტორს უხმარია, წიგნაკში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს სავსებით უნდა შეეფერებოდენ და სრული ნდობის ღირსი უნდა იყვნენ.

აი ეს შინაარსი.

ლაზები ქართველთა მოდგმის ერთს ტოტს—მეგრული—ჭანურს—წარმოადგენენ და მათი კულტურულ-განმანათლებელი ენა ძველად—„ქართული“ ყოფილა

ისინი ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით იმავე საზღვართა შორის, რომელთა შორიც ცხოვრობდენ ქრისტიანობამდის.

მათი დედა ქალაქი—ტრაპიზონი უკვე მერვე საუკუნეში იყო გაშენებული. ბერძნებს ჰქონდათ აგრეთვე ზღვის პირად ახალშენები: კერასუნდი, ატინა, რიზე და სხ. მაგრამ ეს ქალაქები იმავე დროს ლაზების, ანუ ჭანების, ქალაქებიც იყვნენ ამ ორ ერს შორის აღებ-მიცემობასთან ერთად კულტურული კავშირიც განვითარდა და ლაზები საქართველოში და, საზოგადოდ, აღმოსავლეთში ელლინური კულტურისა და განათლების გავრცელების პირველი შუამავალნი და მესვეურნი იყვნენ.

ქრისტიანობის განთესვა საქართველოში ლაზიკიდან დაიწყო.

ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანის დროს ტრაპიზონის მხარე პონტოს ეპარქიად გადაიქცა, შემდეგ კი ქალდეს თემად, რომლის მოადგილეები, ან მთავრები ლაზთაგან შემდგარი ჯარების შემწეობით მუდამ ცდილობდენ, ბიზანტიას გამოყოფოდენ.

და ლაზიკის პოლიტიკური გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მე-6 კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრებაზე ორი წარმომადგენელი ჰყოლია, რომელთაც კრების დადგენილებებზე ხელი უწერიათ: „თეოდორე, ლაზთა ქვეყანის უნარჩევესი ეპისკოპოსი“ და „იოვანე, ლაზთა ქვეყანის „პეტრას“ უნარჩევესი ეპისკოპოსი“.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ინიციატივა კლარჯეთის (შუა ჭოროხის ქვეყნის) სამთავროს ეკუთნოდა, რომლის მფლობელთა—ბაგრატიონთა—რეზიდენციას არტუნჯი წარმოადგენდა. ეს პროცესი (რომელიც მერვე საუკუნიდან დაიწყო) ბაგრატ მე-3-ის დროს დასრულდა, როდესაც მთელი საქართველო ერთ მონარქიად გაერთიანდა (1014 წ.).

საქართველოს სახელმწიფოებრივმა ძლიერებამ თამარის დროს უმაღლეს ხარისხს მიაღწია.

მაგრამ ამ დროს თურქებს—სელჯუკებს მცირე აზიის თითქმის ყველა პროვინცია (ტრაპიზონსა და ბითათნიას გარდა) ეჭირათ და მათ მიერ დაარსებულმა „იკონიის სასულთნომ“, ან „რუმმა“, საქართველო ბიზანტიას მოსწყვიტა.

1185 წ. ისააკ ანგელმა განდევნა ბიზანტიიდან კომნენების გვარეულობის მემკვიდრეები, ალექსი და დავითი, რომელთაც თავი შეაფარეს თავის ნათესავის თამარის სახლს. თამარმა მოიმიზეზა ქართველი ბერების კონსტანტინეპოლში გაძარცვა, დამოუცხადა ომი ბიზანტიას, დაიპყრო ლაზიკა და ტრაპიზონის მხარე სინოპამდის და იქ ბიზანტიის იმპერატორის ხარისხით ალექსი კომნენი (1204 წ.) დასვა.

მაგრამ ამ დროს ბიზანტია პოლიტიკური რღვევის ქმანდობაში იყო. კონსტანტინეპოლი ევროპიდან მოსულმა ჯვაროსნებმა დაიპყრეს და ლათინურ იმპერიად გადააქციეს. ბითანია ბერძენთა სარდალმა ლასკარისმა ნიკეას სახელმწიფოდ გამოაცხადა. 1223 წ. გარდაიცვალა თამარი, კომნენები მარტონი დარჩენ და იკონიის თურქებმა სულჯუკებმა სინოპი აიღეს და კომნენებს წინ გადაეღობენ.

შემდეგ მონგოლთა შემოსევებმა დააუძლურეს საქართველო და ოსმალო-თურქებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიის უკანასკნელ საფარს კონსტანტინეპოლს 1453 წ. და ტრაპიზონს 1461 წ

მაგრამ ქართველებს დიდი ღვაწლი მიუძღვისთ მით, რომ ტრაპიზონის იმპერია 200 წელზე მეტ ხანს დამოუკიდებელი (1204—1461 წ.) იყო. ამიტომ, სხვათა შორის რუსეთის მეფე ივანე მესამე 1481 წ., თათრების უღლის გადაგდების შემდეგ, ტრაპიზონის დაცემის გამო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამდა.

საქართველო დანაწილდა სამ სამეფოდ (ქართლისა, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად) და ხუთ სამთავროდ (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი და სამცხე).

უკანასკნელ სამთავროს ეწოდებოდა ძველად მესხეთი და მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სამცხე სათაბაგო, რომლის მთავრებად (ათაბაგებად) იყვნენ ჯაყელნი. ამ სამთავროში შედიოდენ: ტრაპიზონის მხრის ნაწილი, ტაო-კლარჯეთი (ახლანდელი საოსმალო ჭოროხის მხარე), აჭარა, შავშეთი, ჯავახეთი და არტაანი (არდაგანი).

მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს თურქებმა ჩაიგდეს ხელში ჯერ აჭარა და შემდეგ შავშეთი, ჯავახეთი. არტაანი და ახალციხე. და 1625 წელს უკანასკნელმა ათაბეგმა ბექა მესამემ მაჰმადიანობა აღიარა და საფარ-ფაშის ხარისხი მიიღო. შემდეგ კი მთელი ეს მხარე თანდათან გამაჰმადიანდა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს საქართველოში სახელმწიფოებრივი გაერთიანების იდეა კვლავ მომწიფდა ამ მოძრაობის შედეგი სხვათა შორის მეფეთა და მთავართა შორის დადებული ხელშეკრულობა იყო, რომლითაც ისინი ირაკლი მეორის უზენაეს უფლებას აღიარებდენ.

ერეკლე მეორეს მიზნად ჰქონდა, თავისი სამეფოსათვის სხვათა შორის სამცხეც შემოეერთებინა, მაგრამ მის განზრახვას ოსმალეთი და სპარსეთი წინაღუდგენ. ამიტომ, თავისი მიზნის განხორციელება ირაკლიმ რუსეთის შემწეობით მოინდომა და 1783 წელს ეკატერინე მეორესთან დადებული ხელშეკრულობით რუსეთის უზენაესობა აღიარა. ამ ტრაქტატის მეოთხე სეპარატიული არტიკული ამბობს: მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა მოვალეა იარაღით თუ საშვიდობო მოლაპარაკებით კვლავ დაუბრუნოს საქართველოს სამეფოს ის ქვეყნები, რომელნიც ძველად მას ეკუთვნოდენ“.

ამ ტრაქტატს და, საზოგადოდ, რუსეთთან დაახლოებას მოჰყვა შედეგად მაჰმადიანთა გადამტერება და რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი და ბოლოს საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლა (ინკორპორაცია).

შემდეგ კი საქართველოს ნაწილების ერთად შეკრების ქმნადობა უფრო ადვილი შეიქნა.

1828—1829 წ. და 1877—1878 წლების ომებმა შემოუერთეს რუსეთის იმპერიასა და, მაშასადამე, საქართველოს თითქმის მთელი ძველი მესხეთი, ანუ სამცხე-საათაბაგო: ახალციხე, ახალქალაქი, არტაანი, აჭარა და შავშეთი. ზემო ჭოროხის მხარე (კლარჯეთი) კი დღესაც ოსმალეთის ხელშია.

ახალციხისა და ახალქალაქის ქვეყნები და შავი ზღვის ნაპირი ანაპიდან ფოთამდის შემოგვიერთდენ ადრიანოპოლის ხელშეკრულობით 1829 წელს და აჭარა, შავშეთი და არტაანი (არდაგანი) 1878 წელს სანსტეფანის ხელშეკრულობით, რომლის ხსენებული მუხლი ბერლინის კონგრესმაც დაადასტურა (13 ივლისს 1878 წ.).

და დღევანდელი ომის შედეგი სხვათა-

(თუ სოველი იქნა ჩრდილში უნდა გააშრონ).

8. თუ სიძველე ეკლესიაშია არავინ არ გაბედოს გამოტანა. კიდეც რომ არავინ დაუშალოს მაინც. ეკლესიაში შენახული ნივთის მარტო აღწერა გვინდა ჯერ და არა მუზეუმში გადმოტანა.

9. სიძველის გადახატვას, ჩვენთან მოტანამდი, ნურავინ მოინდომებს, რადგან შრომა ტყუილად დაიკარგება; აქ განსაკუთრებული ხელმძღვანელობაა საჭირო.

10. გაქვავებულ ნივთს ძვალია იგი თუ ხე, ის ნივთიერება, რომელიც გარედან აყრია, არ უნდა მოშორდეს.

11. ნივთს თუ რამე ბუდე აქვს, პარკია იგი თუ ყუთი, ქსოვილება თუ ნაკერი, თან უნდა მოყვეს.

12. არავითარი სიძველე ფრჩხილით ან დანით არ უნდა გაისინჯოს.

13. სიძველის ფოჩტით გამოგზავნა უხერხულია.

14. სიძველისაგან რამე მცირე ჰრილობის მიღებაც მეტათ სახიფათოა. საზოგადოდ, სიძველის მიკარების შემდეგ ხელის კარგათ დაბანა აუცილებელია.

ჯერ-ჯერობით დავკმაყოფილდეთ ამ მცირე დარიგებით და შემდეგ ყველას ვრცელ პროგრამას მივაწვდით.

ტრიფონ ჯაფარიძე.

## ჭიათურის წარმოებათა ლიკვიდაციის წესი

1916 წ. 15 მარტს, მინისტრთა საბჭოს დასტურით, ჭიათურაში არსებულ გერმანელთა შავიქვის მრეწველობის სალიკვიდაციოთ შესდგა საგანგებო სამართველო. ამ სამმართველოს თავმჯდომარედ ითვლება კავკასის მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი ი ნ. პროტასოვი, მეფის ნაცვლის საგანგებო მინდობილებათა მოხელე სტატს. სოვ. ბ. დ. კოვალენსკი, კავკასიის სამთო სამმართველოს გამგე ა ე. სობაჩიევსკი, ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი თ-დი ს. გ. მიქელაძე, ქუთ. მიწადმოქმედების და სახიზინო მამულების ქუთაისის სამმართველოს უფროსი ი. კ. მულინი, თბ. საკონტროლო პალატის რევიზორი ი. ა. გრიგორიანცი?. ამ საგანგებო სამმართველოს აქვს მინდობილი ზემოხსენებულ მამულების აღწერა, დაფასება, განცხადება გაყიდვის შესახებ, მამულის შეძენის მსურველთა აღნუსხვა და აგრეთვე მოყვანა სისრულეში მინისტრთა საბჭოს დადგენილება შესახებ ამ წარმოებათა გაყიდვისა, რომელიც მოხდება მას შემდეგ, რაც მინისტრთა საბჭო განიხილავს სალიკვიდაციო მმართველობის მიერ შეკრებილ ცნობებს და მის იმპერატორობითი უმაღლესობის მეფის ნაცვლის ამ საგნის შესახებ დასკვნას.

1916 წ. 7 ივნისის სხდომაზედ სალიკვიდაციო კომისიამ დაიწყო თავისი მოქმედება და მიიღო თავის მმართველობაში ორივე წარმოებები. მთელი წარმოებების მმართველობის ხელში გადასვლა მოხდება მას შემდეგ, რაც ის გაეცნობა მთელს ქონებას ამ ფირმებისას და ამის აღწერილობას მოახდენს, რის შესახებ მოხდება მეორე პუბლიკაცია და ამის შემდგომ სამი კვირის განმავლობაში შესდგება უკანასკნელი აღწერა მთელი ქონებისა. ამის შემდეგ გამოცხადებული იქნება ამ წარმოებათა გაყიდვის შესახებ და ყველა ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა წერილობით უნდა აცნობონ სალიკვიდაციო მმართველობას, განცხადების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში.

დაწესებულებათ და კერძო პირთ ვინც ამ ლიკვიდაციის საკითხით დაინტერესებულია, უნდა მიმართონ განსაკუთრებულ მმართველობას.

ფოსტის ადრესი: მეფის ნაცვლის კანცელარია. განსაკუთრებული მმართველობის თავმჯდომარე პროტასიევი წევრი მმართველობისა ბ კოვალენსკი. „ს"

## დეპეშები.

თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძის საზოგადო მოღვაწეობის 35 წლის შესრულების გამო „სამშობლოს" რედაქციამ მიიღო შემდეგი მილოცვის დეპეშები.

„წყნარ მუშაკს ძვირფას თეოფილეს ვულოცავ 35 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობის შედეგს.

მარო ჟღენტი, სონა ტკეცეშვილი.

——

„ჩვენ მშვიდსა და წყნარ თეოფილეს უმხურვალესად ვულოცავთ 35 წლის მოღვაწეობას სამშობლოს ჯეჯილზე.

სალამი იუბილიარს.

პორუჩიკი ჟღენტი.

**თბილისი.**

მუშაკ მწერალს და „ჯეჯილის" თანამშრომელს ვულოცავ სალიტერატურო მოღვაწეობის 35 წლის შესრულებას.

ჟურ. „ჯეჯილი"ს რედ. ანასტასია წერეთელი.

**ბაქო.**

„ძვირფას თეოფილეს მხურვალედ ვულოცავთ საზოგადო მოღვაწეობის 35 წლის შესრულებას. ამ ხნის განმავლობაში იგი ერთგულად ნერგავდა ნორჩ სამშობლო მწერლობაში ყოველივე კეთილსა და კარგს. ღმერთმა ინებოს კვლავ უფრო ინტენსიურად განეგრძოს სასარგებლო მოღვაწეობა.

ვანო და ლადო თურქიები.

—.—

გულწრფელად ვულოცავ ძვირფას თეოფილეს სამწერლო ასპარეზზე ნაყოფიერ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებას.

ვუსურვებ ჯერ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში განეგრძოს მუშაობა.

ვლადიმერ (მამუკა) ამაშუკელი.

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ სოფელ ქალადიდის მცხოვრებნი შუამდგომლობენ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რათა ნება დართოს მათ გახსნან სოფელ ქალადიდში მომხმარებელი საზოგადოება „ნუგეში",

✦ ასეთივე შუამდგომლობა აღძრეს უშაფათის მცხოვრებლებმაც, სადაც უნდა გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „ოდიში".

✦ წ. კ. გ. საზ. ხიდისთავის განყოფილება სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს, ნება მისცეს მათ გახსნან უფასო სამკითხველო სოფელ ბურნათში.

✦ წ. კ. გ. საზ. სამტრედიის განყოფილება სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს ნება დართოს მათ გახსნან სოფელ სამიჩავოში უფასო სამკითხველო.

✦ პოლონელი ექსკურსანტები, რომლებმაც ქუთაისის ისტორიული სიძველენი დაათვალიერეს, გუშინ ქუთაისიდან წავიდენ.

✦ სამიწად-მოქმედო გამგეობა ამ მოკლე ხანში გზავნის ბატონ ბახტაძეს დ. ჭიათურაში იმ მადნეულ-მამულების დასათვალიერებლათ, რომელიც უცხოელთა ხელში იყო ამდენხანს, და დღეს იყიდება

✦ ეს სამი დღეა, ქუთაისში დიდძალი სოფლელი ხალხია ჩამოსული ურმებით სიმინდისათვის. ზოგ საზოგადოებას სესხათ მოუვიდა სიმინდი, ზოგიც კი ფულით ყიდულობს

ქუთაისის ვაჭრები ბასილაძე და კილასონია აცხადებენ, რომ ანტონ ტუსკიას მიერ გაგზავნილი დეპეშა შაშკოვის სახელზე სიმართლეს მოკლებულიაო. ეს დეპეშა დაიბეჭდა „თან. აზრ." და ეხებოდა ზემოხსენებულ ვაჭრებს, რომ მათ ვითომც რაღაც მანქანებით ფოთში შეეძინოსთ 3 ვაგ ფხვნილი შაქარი. ამ შაქრის ჩამორთმევას მოითხოვდა ტუსკია.

ხსენებული ვაჭრები ამბობენ, რომ ეს შაქარი მათ ქუთაისის მცხოვრებთათვის შეიძინეს და უკანასკნელად მომხდარ თათბირის თანახმად გაიყიდება ფუთი 7 მანეთად, ხოლო გირვანქა 18 კაპიკად.

✦ ივლიტა ქვაზნინაძისა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან ქუთაისის სადგურზე 2 ივლისს მატარებლიდან ჩამოსვლის დროს დაჰკარგა მამულის ჩაბარების ქაღალდი (Вводный листъ) მპოვნელს უმორჩილესად სთხოვს მიუტანოს ქუთაისის სადგურის ჟანდარმს.

✦ დღეს, 3 ივლისს, შუადღის 12 საათზე ბოტანიკი დ. ი. სასნოვსკი რეალურ სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობას წაუკითხავს ლექციას სამკურნალო მცენარეებზე.

——

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ მორიგ ნუმერში სამეურნეო საზოგადოების კრების ანგარიშში შემდეგი შეცდომა შეგვეპარა. სწერია: კრებას თავმჯდომარეობდა გ. ასათიანი, უნდა იყოს: კრებას თავმჯდომარეობდა იოსებ გიორგის ძე ქუთათელაძე.

## თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძე.

(35 წლის იუბილეს გამო.)

თეოფილე ხუსკივაძე დაიბადა 1860 წ. იანვრის 19-ს შორაპნის მაზრის ს. კვალითში მღვდელ იესე ხუსკივაძის ოჯახში. თორმეტი წლისა იყო როცა მამა მისმა დააწყებია ზეპირათ სწავლა ჯერ ლოცვებისა და შემდეგ დავითნისა.

დადგა სასწავლებელში მიბარების დროც. ცამეტი წლის ბავშმა ქართული წერა კითხვის მეტი არა იცოდა რა და ენკენისთვეში ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს.

სამოცდაათ წლებში, როდესაც იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, ზედამხედველად იყო განსვენებული გერასიმე კალანდარაშვილი, რომლის შედგენილ სახელმძღვანელოდანაც სწავლობდა რუსულ ენას.

ქართული ენა თეოფილე ხუსკივაძეს უყვარდა და მის შესწავლას იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

ამ სურვილს ხელი შეუწყო მაშინდელმა ქართული ენის გამოცდილმა მასწავლებელმა მღვდელმა დიმიტრი ჯანაშვილმა და ეს სიყვარული კიდევ უფრო გაუორკეცა მას.

პირველ კლასიდან დაწყებული, მეოთხე კლასის დასრულებამდე ქართული ენის მასწავლებლათ ეს პატივცემული მღვდელი—ჯანაშვილი ჰყავდათ.

ოთხი წლის განმავლობაში თეოფილემ კარგათ შეისწავლა: ი. ჭავჭავაძის, აკაკი და გიორგი წერეთლების ნაწერები, არჩევდა გურამიშვილის, ბარათაშვილის, ორბელიანის ნაწარმოებთ, და ბევრი მათი ლექსი ზეპირათ ჰქონდა შესწავლილი. წაკითხული ჰქონდა ვეფხის ტყაოსანი, დავითიანი და სხვ. იმ დროს მამა დ. ჯანაშვილი „დროებაში" ისტორიულ წერილებს სწერდა. ინგილო ჯანაშვილის ფსევდონიმით. ამ წერილებს პატივცემული მოძღვარი უკითხავდა და უხსნიდა სკოლაში მოსწავლეებს. ერთი სიტყვით, ქართული ენისადმი პირველი სიყვარული ჩაუნერგა გულში სასწავლებელში ყოფნის დროს.

დიდი გავლენა იქონია მამა ჯანაშვილის წერილებმა თეოფილეზე.

როცა გაზეთში მღვდ. ჯანაშვილის წერილი დაიბეჭდებოდა, მოწაფეებს თავის წერილს თვითონვე უკითხავდა ამან თეოფილეს აღუძრა სურვილი თვითონაც დაეწერა რამე და დაებეჭდა გაზეთში, მაგრამ მან არ იცოდა, რა გზით და როგორ.

ერთს ზაფხულს ს. კვალითში იყო მეზობლები ადგილის თაობაზე წაიჩხუბენ და ერთმა მეორე დასჭრა. თეოფილემ ასწერა ეს ამბავი და „დროების" რედაქციაში გაგზავნა მან უსაზღვრო სიამოვნება იგრძნო, როცა ეს პირველი შრომა დაუბეჭდეს. ამის შემდეგ გაზეთი ხელიდან არ გაუგდია და წერაც იმ დღიდგან დაიწყო. მაშინ იგი სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში იყო ეს იყო 1875—76 წლებში. 1877 წელში თეოფილემ დაასრულა სასულიერო სასწავლებელი და გორის სამასწავლებლო სემინარიაში გადავიდა. სამასწავლებლო სემინარიაში ქართულ ენას განსვენებული არისტოტელ ქუთათელაძე ასწავლიდა.

სემინარიაში თეოფილე სამხანაგებად იყვნენ ისეთი ქართული ენის მოყვარენი, როგორც მაგალითად, ვაჟ[illegible] ნათაძე, ვლ. აღნიაშვილი, იოს. ცისკარაშვილი და სხვ., რომლ[illegible]ტად წაახალისეს იგი და შეაყვარეს ქართული ენა.

სემინარიაში ყოფნის დროს თეოფილე სწერდა წვრილ წვრილ ამბებს, უმეტეს ნაწილათ სწავლა აღზრდის შესახებ. აქვე შეადგინა პადაგოგიური წერილები და შემდეგ ცალკე წიგნათაც დაიბეჭდა. აქვე ღებულობდა მონაწილეობას ყოველგვარ ქართულ დაწესებულებასა და საქმეში, ზემოაღნიშნულ ამხანაგებთან ერთად ს. მგალობლიშვილის და მათე კერესელიძის თაოსნობით და ხელმძღვანელობით.

1881 წ. დაასრულა სემინარია და დაინიშნა მასწავლებლად ზესტაფონის ნორმალურ სასწავლებელში.

მაშინ დ. ზესტაფონი პატარა იყო. მცხოვრებლებიც ნაკლებათ იყვნენ და არაფერს კულტურულ დაწესებულებას აქ ადგილი არ ჰქონდა.

დროგამოშვებით წელიწადში ორჯერ ან სამჯერ თუ გამართავდენ სადმე წარმოდგენებს, თორემ სხვა გასართობი არაფერი არ იყო.

ზესტაფონში იგი მსახურობდა 14 წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში, თეოფილე ენერგიულად ავრცელებდა ხალხში ქარ. ჟურნალ გაზეთებს. მან აიღო ნებართვა პირველ წიგნის და სამკითხველოს გახსნისა. შემდეგ კი ეს საქმე გადასცა ალექ. არაბიძეს და მ. გაჩეჩილაძეს. მაღაზია დღესაც არსებობს.

12 წელიწადი თეოფილე მსახურობდა ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

ქუთაისში ცხოვრების დროს თეოფილე მუდამ გვერდში ედგა ქართულ თეატრს და გულ მხურვალეთ ემსახურებოდა მის წარმატებას: სწერდა და თარგმნიდა პიესებს, ემსახურებოდა თფილისის დრამატიულ საზოგადოებას. ქუთათურ ფილიალურ განყოფილებაში სამი-ოთხი წელიწადი. ამ დროს სწერდა პიესების რეცენზიებს, თეატრის ისტორიას და სხვას. იყო გამომცემელ ამხანაგობის სარედაქციო წევრად; სწერდა და სთარგმნიდა საყმაწვილო და ისტორიულ მოთხრობებს, ამასთან თანამშრომლობდა თითქმის ყველა ჩვენს ქართულ ჟურნალ გაზეთებში.

5 წელიწადი იყო მარტვილის მომრიგებელ მოსამართლეთ, სადაც მონაწილეობას ღებულობდა აქაურ კულტურულ დაწესებულებებში. სწერდა პატარ-პატარა მოთხრობებს ქუთათურ გაზეთებში კოლხიდაში და სხვაგან.

ამ ხნის განმავლობაში დასწერა მან, ბევრი მოთხრობა, ესკიზები ისტორ ამბები. რომელიც გაფანტულია ყველა ჩვენ, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ბევრიც ცალკე წიგნაკათ არის გამოცემული. სწერდა, საყმაწვილო მოთხრობებს, რომლებიც იბეჭდებოდენ „ჯეჯილში" და „ნაკადულში". დღეს მსახურებს დ. ოჩემჩირეში, ნოტარიუსად, სადაც მისი თაოსნობით გაიხსნა საურთიერთო ნდობის ბანკი, ქ. შ. წ. კითხვის საზოგადოების განყოფილება და სამკითხველო.

თეოფილე ხუსკივაძე 1881 წლიდან დაწყებული დღემდის ქართული მწერლობის მოტრფიალეა. შეძლებისდაგვარათ მას ემსახურება და თავის სულიერ განცდას მხატრულის ენით საზოგადოებას აწვდის.

## თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძე.

ამ ქვეყნად მხოლოდ ერთადერთი ხელობაა, რომელიც არავითარი გარეშე საშუალებით არ იშოვება. ამ ხელობის მოპოებისათვის საგანგებოდ თანდაყოლილი ნიჭია საჭირო. წმინდაა ეს ხელობა და სპეტაკი. სახელი მისი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობაა. სამწერლო ასპარეზზე მოღვაწისათვის საგანგებოდ თანდაყოლილ ნიჭთან დიდათ საჭიროა სიწყნარე და სიმშვიდე. ამ თვისებებით შემკული, მოღვაწე, უფრო დალაგებით ეცნობა ხალხის ჭირ-ვარამს. ერთს ასეთ, წყნარსა და მშვიდს მუშაკს, ქართულს სამწერლო ასპარეზზე, თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძე წარმოადგენს. ამა წლის პირველ ივლისს ოცდათუთხმეტი წელიწადი შესრულდა, რაც თეოფილე იესეს ძე ხუსკივაძე ქართულს სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობს. ჩვენი ქვეყნის სამსახური მან ზესტაფონის ნორმალური ორკლასიანი სასწავლებლიდან დაიწყო, გორის საოსტატო სემინარიამ დიდებული მგოსნის ვაჟას გარდა სხვა სასარგებლო პირებიც ბევრი შეგვძინა ჩვენ, აი, ჩვენი დღევანდელი იუბილიარიც, გორის საოსტატო სემინარიამ აღუზარდა ქართველ ერს. თეოფილე ხუსკივაძის ნაწერები მთლად ქართველი ერის სიყვარულზეა აშენებული; მშობლიური ქვეყნის სიყვარული მოსვენებას არ აძლევს მას როგორც ახლად გარდაცვალებულის ალექსანდრე ყიფშიძის ნაწარმოები „კახეთის ამბოხება" ძვირფასი საუნჯეა ჩვენთვის, როგორც საუკეთესო მასალა ქართული ისტორიისა,

შორის ლაზიკის შემოერთებაც იქნება.

მხოლოდ მაშინ დასრულდება საქართველოს ნაწილების ერთად შეკრების და, მაშასადამე, სანახევროდ მაინც განხორციელდება 1783 ტრაქტატის მეოთხე სეპარატული არტიკული.

საოსმალო საქართველო შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1) ტრაპიზონის ვილაეტი (დეპარტამენტი, ან გუბერნიაა), რომელიც შეიცავს 23.758 კვ. ვერსსა და 430.041 მცხოვრებს ეს ვილაეტი განიყოფება: ა) ტრაპიზონის სანჯაყად, რომელშიაც 1871 წ. ცხოვრობდა: 151.893 მაჰმადიანი, 29.227 ბერძენი და 9.200 სომეხი; სულ 190.320 სული; ბ) ლაზისტანის სანჯაყად, რომელშიაც ცხოვრობდა: 91.088 მაჰმადიანი, 693 ბერძენი და 22 სომეხი; სულ 91.781 სული; გ) გუმუშ-ხანეს სანჯაყი, რომელშიაც ცხოვრობდა: 16.017 მაჰმადიანი, 12.311 ბერძენი და 579 სომეხი; სულ 28.907 სული; დ) ჯანიკის (ჭანეთი) სანჯაყი, რომელშიაც ცხოვრობდა: 85.898 მაჰმადიანი, 28.398 ბერძენი და 8.240 სომეხი; სულ 1119.033 სული. მაშასადამე, ტრაპიზონის ვილაეტში ყოფილა: მაჰმადიანი 352.396, ბერძენი 67.626, სომეხი 18.141.

რაც შეეხება აზრუმის ჩრდილო-აღმოსავლეთის სექტორის—ბაიბურდის (ძველი ასპირის) სანჯაყსა და მის მეზობელ ორ კაზას (საზოქაულოს) თორთუმსა და კისკიმს (ლივანას), ბაიბურდის სანჯაყის სივრცე უდრის 8.646 კვ. ვერსს, მის მცხოვრებთა შორის მაჰმადიანი ყოფილა 14.092, არამაჰმადიანი 3.879, სულ მცხოვრებთა რაოდენობა 17.971; თორთუმისა და კისკიმის კაზათა სივრცე უდრის 5.215 კ ვერსს, მცხოვრებთა რაოდენობა კი თორთუმის კაზაში ასე ყოფილა განაწილებული: მაჰმადიანი—15.510 არამაჰმადიანი 890, სულ 16 400; კისკიმის კაზაში: სულ ყოფილა 26.021 სული.

მაშასადამე, საოსმალო საქართველოში ყოფილა სულ 462.402 სული. მაგრამ, რადგანაც ეს რაოდენობა მხოლოდ მამაკაცებს შეიცავს, ქალების მიმატებით ამ მხარეში 924.004 სული უნდა ყოფილიყო. (ცხადია, რომ ახლა მცხოვრებთა რაოდენობა ერთ მილიონს უნდა აღემატებოდეს; ავტ.)

ეს სტატისტიკა გეოგრაფიული საზოგადოების მიერ შედგენილი სტატისტიკური ცნობებიდან არის ამოღებული, რომელნიც თავისი მხრით ოსმალურს ოფიციალურ სტატისტიკას ემყარებიან.

რამდენია არამაჰმადიანთა შორის ლაზი და რამდენია თურქი ან სხვა ტომი?! ამის შესახებ ყველა მკვლევარი და მეძიებელი ერთხმად აღიარებს, რომ ხსენებული მხრის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა ლაზები არიან და თვით ტრაპიზონის მცხოვრებთა 2/3—ლაზებია.

ამ ადგილების მდებარეობა ერთმანეთის შესახებ ასეთია: შავი ზღვის პირად მდებარეობენ ტრაპიზონისა (დასავლეთით) და ლაზისტანის (აღმოსავლეთით) სანჯაყები. ამ ვილაეტებს აკრავს აღმოსავლეთით ბაიბურდის სანჯაყი; ლასისტანისა და ბაიბურდის სანჯაყებს კი აკრავს აღმოსავლეთ ჩრდილოეთით ლივანის, ან კისკიმის, (ლაზისტანის სანჯაყის ჩრდილოეთით) და თორთუმის (ბაიბურდის ჩრდილოეთით) კაზები.

ამას გარდა დასავლეთ ვილაეტებში თვით კონსტანტინეპოლამდის იქნება კიდევ 200.000 ქართველი.

ლაზისტანის ყველა დიდი ქალაქი და სოფელი ზღვის პირის ნავსადგურები არიან, მაგალითად, ხოპა, არხავე, ატინა, ხემშინი, რიზე, ოფი, სურმენე, ტრაპიზონი და მთელი რიგი სოფლებისა.

ლაზისტანის დედა ქალაქი ტრაპიზონი, რომელიც 60.000 მცხოვრებს შეიცავს, ანატოლიის უმთავრეს კარებს წარმოადგენს. მის მცხოვრებთა $^2/_3$—ლაზებია, როგორც ამბობს პ. შუბინსკი, რომელმაც ნახა ეს ქალაქი 1911 წელს.

ტრაპიზონი უძველესი დროიდანვე შეერთებული იყო და არის დღესაც საქარავნო გზებით აზრუმთან, თავრიზთან, ტეჰერანთან, ისფაჰანთან, შირაზთან და დამასკთან.

ათი დიდი სანაოსნო ამხანაგობა იყო ამ ომამდის შუამავალი ტრაპიზონსა და შავი ზღვის დიდ ქალაქებს—კონსტანტინეპოლსა, ოდესასა, ნოვოროსიისკსა, ბათუმსა და სხ.—შორის.

ტრაპიზონში წლიურად 30 მილიონის საქონელი შემოდის. და, ცხადია, როდესაც ეს ქალაქი რკინის გზით შეუერთდება მცირე აზიის ქალაქებს, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო მოიმატებს.

როგორცა ჩანს, ლაზიკა—ძველი საქართველოს ნაწილია და, თუ ეს ქვეყანა ომის შემდეგ რუსეთს შეუერთდება, ეს იქნება იმავე დროს საქართველოს ისტორიული ნაწილების ერთად შეკრება და შეერთება, რასაც ჩვენთვის, რასაკვირველია, უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ექნება. და, ცხადია, რომ, როდესაც ომის შემდეგ ახლად შემოერთებული ქვეყნების ადმინისტრაციული გამიჯნვა მოხდება, ქართველებს სრული უფლება ექნებათ მოითხოვონ, რომ ლაზისტანი საქართველოს არ ჩამოსჭრან და სომხეთს არ შეუერთონ.

სამწუხაროდ, ჩვენი მეზობლები - სომხები—ლაზიკას მომავალი სომხეთის ავტონომიის ნაწილად აღიარებენ (იხ „Народы и области" 1914 წ., წერილი სომხის პუბლიცისტის—ა. კ ჯიველეგოვისა) და რუსის გამოჩენილი მეცნიერი და პუბლიცისტი, „კადეტთა" პარტიის მეთაური—მილჲუკოვიც—თანახმაა უძღვნას სომხებს ლაზიკა საჩუქრად (იხ. კრებული: „Чего ждетъ Россія отъ войны").

ამ გვარად ექვს სომხურ ვილაეტს—აზრუმს, ვანს, ბითლისს, დიარბეკირს, ხარპუტსა და სივასს—ერთი ახალი—ქართული—ვილაიეტიც უნდათ მიუმატონ და მიართვან სომხებს ძღვნად.

ასეთია, მოკლედ, ხსენებული წიგნაკის შინაარსი ჩვენი მხრით ავტორის მიერ ნათქვამს დავსძენთ შემდეგს: ერთობ დიდია ისტორიული ღვაწლი ქართველთა, საზოგადოდ, ქრისტიანული კულტურისა და განათლებისა და, კერძოდ, რუსეთის სახელმწიფოებრივობის წინაშე, და სხვათა შორის დღევანდელ საერთაშორისო ომშიაც იმდენად განუზომელია მათი თავდადება და თავგანწირვა, რომ არა გვგონია, მილჲუკოვებმა შესძლონ, რუსეთის საზოგადოებას ქართველთადმი ბუნებრივი თანაგრძნობა გულიდან ამოგლიჯონ და ისტორიული უსამართლობა ჩაადენინონ. რუსეთი ქართველთა ამაგს ვერ დაივიწყებს

ვასილ წერეთელი.

აგრეთვე ფასდაუდებელია თეოფილე ხუსკივაძის წერილები იმერეთის მეფის სოლომონ მეორის უკანასკნელი ცხოვრებისა და მოქმედების შესახებ.

ჩვენი იუბილიარის მოღვაწეობა მარტო ამით არ განისაზღვრება მრავალს ფსიხოლოგიურსა და პედაგოგიურ წერილებს გარდა, რომელიც ქართულ ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული და ჯერჯერობით თავმოუყრელია, ბ. ხუსკივაძემ თავის საუკეთესო სიყმაწვილის დღენი მოზარდი თაობის აღზრდასა და ჩვენი ხალხის გამოფხიზლებასაც შეალია.

თეოფილე ხუსკივაძის დანიშვნის შემდეგ ყვირილის ნორმალური სასწავლებლის ცხოვრება სრულიად შეიცვალა. იგი სულითა და გულით დაგვიახლოვდა ჩვენ. თავის მოწაფეებზე ბევრათ ხნიერი არცკი იყო, როდესაც იგი ჩვენს მასწავლებლად გაწესდა და ეს გარემოება დიდათ ეხმარებოდა მოსწავლეებს მასთან დაახლოვებაში. მცირე ხნის განმავლობაში ისე დაგვიახლოვდა, რომ თავისუფალ დროს სულ ჩვენთან იყო სკოლის დერეფანში და სასკოლო ბაღში, გვაძლევდა დარიგებას და გვინერგავდა სამშობლოსადმი სიყვარულს. მოწაფეებისადმი მოქცევა თეოფილე ხუსკივაძისა იდეალური იყო. არამც თუ მაშინდელ მასწავლებლებს შორის არაფერი ხდებოდა ამის მსგავსი, არამედ ბევრი ახლანდელი მასწავლებელიც მოკლებულია თეოფილე ხუსკივაძის თვისებას... თეოფილე ხუსკივაძე როგორც ახალგაზრდობაში ემსახურებოდა ჩვენი ხალხის გამოფხიზლებას, ისევე ემსახურება დღესაც. სულითა და გულით ვულოცავ ჩვენს მხნე მუშაკს 35 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას და ვუსურვებ მას კიდევ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

მ. ბუაჩიძე.

## „ახალი გზა“.

მრავალ უბედურების განცდის შემდეგ, რუსეთის                    და ლიბერალების თავისებურ ქინიან „კონსერვატიზმს“ ფარდა აეხადა. დღეს მათ სათვალები ჩამოიხსნეს და რუსეთის ცხოვრების მწარე ყოფის გაცნობა-გათვალისწინებას შეუდგენ.

                    ლიბერალები, როგორც რუსეთის ბედ იღბლის საკუთარ ხელში მატრიალებელნი ამ მწარე ყოფისგან გამოსავალ გზის ძებნას ახლავე შეუდგენ

მაგრამ, როგორც საზოგადოთ ცნობილია, რუსეთის საკეთილდღეოდ იგინი ყოველთვის მისდა სასიამოვნო საჭირო ზომებს იღებენ, რომელიც არა თუ კეთილდღეობას მიანიჭებს რუსეთს, პირიქით, ერთს მშვენიერ დღეს ისევ საშინელ უფსკრულში გადაჩეხავს მას.

ამჟამად მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ერთ პროექტზე, რომელიც რუსეთის უკეთეს მომავლის შესაქმნელად ბიუროკრატიამ და მაღალმა წრეებმაც საჭიროდ აღიარეს. ეს პროექტი გახლავთ მთელს რუსეთის იმპერიაში საერთო სავალდებულო სწავლა-განათლება.

ეს დიდი ხნის ნანატრი პროექტია და დარწმუნებულიც ვართ, რომ რუსეთის ყველა მცხოვრები, განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა, მას დიდის იმედით მიეგებება.

სწორედ აღნიშნულ საერთო განათლებით და ყველა მცხოვრებთა ცოდნით აღჭურვა-გათვითცნობიერებით წარმოიშობა, ყოველი სახელმწიფოს სასურველი კეთილდღეობა და ძლიერება.

მაგრამ აქ უნდა დავასახელოთ მიუცილებელი გარემოება. ცხოვრებაში ყოველგვარ დაწყებულებას, საქმეს, მაშინ მოაქვს საჭირო ნაყოფი, როცა იგი ყოველ მხარესთან და პირობებთან მიზან შეწონილ ბუნებრივად მოქმედებს.

ესევე ითქმის დღეს წამოყენებულ პროექტზე.

როგორც ზემოდ ვსთქვით, თუ ბიუროკრატიამ იგი თავისებურ გეგმით განახორციელა, ე. ი. თუ დაემყარა „დუბროვინის“ დევიზს, ყველაფერი ჭეშმარიტ რუსთათვისო, რასაკვირველია, მაშინ ხსენებული პროექტის განხორციელება რუსეთის საერთო ცხოვრებას ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს.

ჩვენ აქ ვამბობთ: თუ საერთო სავალდებულო სწავლა განათლების პროექტი განხორციელდა რუსეთის შემადგენელ სხვადასხვა ერებისთვის, იგი უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს,

მაშასადამე, დღეს საჭიროა რუსეთის პროგრესიული ნაწილის ამოქმედება და გონივრული მუშაობა, რომ ისეთი პროექტი, რომელსაც გამოცდილების მიხედვით შეუძლიან სახელმწიფოს ცხოვრება სასურველ გზაზე დააყენოს,

                    ვერაგ ზრახვათა მსხვერპლად არ იქცეს.

განზრახული ყველა პროექტი ცხოვრებაში უნდა გატარდეს ყველა ერის სურვილი საჭიროებისამებრ და მხოლოდ მაშინ დადგება რუსეთი ახალსა და სამართლიან გზაზე“.

ი. იმერელი.

## ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო აღწერა.

— ქუთაისის გუბერნიაში სამეურნეო აღწერა უკვე დაიწყო. როგორც გვაცნობებენ, ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა მაზრებიდან ადმინისტრაცია წინაალმდეგ გუბერნატორის განკარგულებისა (დახმარებაზე) ალაგ ალაგ აღწერის ხელმძღვანელებს გულცივათ შეხვდენ და დახმარების ნაცვლად წინააღმდეგობასაც უწევენ.— ასეთი ცნობა მივიღეთ, შორაპნის მაზრიდან—შორაპნის მაზრის სამეურნეო აღწერა დაკისრებული აქვს, წინააღმდეგ თავის სურვილისა, საერობო აგრონომ ბ. რევაზ გედევანიშვილს, რომელიც თავისი სამსახურით ახლოს სდგას ხალხთან და კარგათ იცის ჩვენი ხალხის ეკანომიური მდგომარეობა. ზოგიერთ ვაჟბატონს (ამ მაზრიდან მომრიგებელ შუამავლებს თავად ირაკლი წერეთელს და გიორგი ცხაკაიას) ამის ხელმძღვანელობა აუთვალწუნებია და დაბალი ადმინისტრაციის თუ თავის პირადი ქადაგებით ყოველ ღონეს ხმარობენ აღწერის ნორმალურ მიმდინარეობას ხელი შეუშალონ.—სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, მიუხედავად თავად ირაკლი წერეთლის და გრ. ცხაკაიას „ინტრიგებისა“, ამ მაზრის (შორაპნის) უფროსი ისააკ ანდრიას-ძე ვასაძე რევაზ გედევანიშვილს დაკისრებული მოვალეობის აღსრულებაში შესაფერ და რამდენათ შესაძლოა ვართო დახმარებას უწევს. ამ მაზრაში ამწერლების*) უმეტესობა შედგება—სახალხო მასწავლებლებისაგან, სტუდენტებისაგან და იმ პირთაგან, რომლებიც ახლო დგანან ხალხთან და ჩვენ სოფელს კარგათ და ზედმიწევნით იცნობენ.—

უცნობი.

## კოოპერატისტის შენიშვნები.

ორიოდე სიტყვა კავშირის აღმაშენებლობაზე.
(იხ. „სამშობლო“ № 394.)

ამხანაგი კანდელაკი თავის წერილს იქიდან იწყებს, რომ „კავშირის თითოეულ ნაბიჯს დაუძლეველი დაბრკოლებანი ეღობებიან წინო.“ ეგ ასეც იყო მოსალოდნელი.

საოლქო კავშირის დაარსება მანამდი, სანამ რაიონული და საგუბერნიო კავშირები არ შემდგარან, ძნელ ნაქმეს წარმოადგენს და მარტო საორგანიზაციო და ტეხნიკურ საკითხთა მოგვარება ყოველთვის დიდ ენერგიასა და ბევრ დროს მოითხოვს ხოლმე. გამოცდილ თანამშრომელთა შტატის შედგენა, საქონლის შეძენა, სატრანსპორტო საქმის მოგვარება და, წარმოიდგინეთ, ბინის შოვნაც რომ დიდს დროსა, შრომასა, გამჭრიახობასა და დაკვირვებას მოითხოვდა,—ამას ჩვენ ადრიდანვე ვგრძნობდით, და სწორედ ამიტომაც იყო, რომ ზედმეტად ჩავსთვალეთ მათთვის დროს წართმევა ისეთი საქმისთვის, რომლის მოგვარების იმედი გვქონდათ საკუთარის ძალით და რომლის მოსაწყობად კავშირისაგან ფორმალური „დალოცვის“ გამოთხოვა საკოოპერაციო საქმიანობაში დაუშობელ კომედია-ლაქიობათ მიგვაჩნდა.

დიახ, კავშირი საორგანიზაციო ხანას განიცდის. მას ბევრი დაბრკოლება შეეღობა და ბევრიც მოელის მომავალშიც. ყველა ამ დაბრკოლებათა ჩამოშორებაში ყოველი კოოპერატორი ვალდებულია ხელი შეუწყოს კავშირს და ეს ვალდებულება უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს ადგილობრივ ძალთა დარაზმვასა და მათსა და საოლქო თუ ცენტრალურ კავშირებს შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებაში.

და სწორედ აქეთკენ მივუთითებდით ჩვენ „რეგულიატორის“ დამფუძნებელ კრებას, სწორედ აქეთკენაა მიმართული მისი სამოქმედო გეგმა, რასაც ადასტურებს დამფუძნებელი კრების ოქმი და გამგეობის პირველი ნაბიჯებიც. „რეგულიატორი“ ჩაეწერა ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირში და ახლო მომავალი დაგვანახვებს, რომ იგი კიდეც შეასრულებს ნამდვილი რ ე გ უ ლ ი ა ტ ო რ ი ს როლს კავშირსა და ადგილობრივ კოოპერატივებს შორის სასურველ განწყობილების დამყარებაში.

სამწუხარო გაუგებრობას თავისთავად მოელება ბოლო, მაგრამ სასურველია, რომ ასეთი გაუგებრობა პირველი და უკანასკნელი იქნეს ჩვენს საკოოპერაციო აღმაშენებლობაში. ამისათვის საჭიროა კავშირმაც აღიაროს ადგილობრივ ძალთა თვითმოქმედებისა და რაიონულ კავშირის დაარსების აუცილებელი საჭიროება. განსაკუთრებულია პირობები და ზომებიც განსაკუთრებული უნდა იქნეს.

შემდეგ წერილში ჩვენ დაწვრილებით შევეხებით სასურველ ზომებს, რომლებიც ახლავე უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივ მომუშავეთაგან, ახლა კი აღვნიშნავთ იმ ძირითად დებულებებს, რომელიც საძირკვლად უნდა დაედვას საკავშირო აღმაშენებლობას:

1) დაარსება და არსებობა ადგილობრივ კავშირებისა დამოკიდებულია ადგილობრივ ძალთა თვითმოქმედებაზე.

2) ადგილობრივი კავშირები ასრულებენ განმანაწილებელი პუნქტების დანიშნულებას და ხელს უწყობენ მოკავშირე კოოპერატივთა სამყიდველო ძალთა შეერთებას, ღებულობენ ავანსებს საქონლის შესაძენად და საქონლის შეძენის საქმეს აეროებენ საოლქო კავშირში.

3) საოლქო კავშირი მთავარ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ კავშირთა მოწოდებული ავანსების გამოყენებას და ამ მიზნით ყოველსავე ზომას ღებულობს, რათა საკმაოთ იქნას აღმოჩენილი საჭირო საქონელი.

4) კავშირის აღმაშენებლობაში ანგარიში უნდა გაეწიოს ამა თუ იმ საშუალების სარგებლობას მომხმარებელი კოოპერაციისთვის საერთოდ, და არა ფორმალურ მხარეს.

5) სადაც მოსახერხებელი იქნება, უპირატესობა უნდა მიეცეს შეკავშირების საქმის იურიდიულ ნორმებში ჩამოყალიბებას, თუნდაც მომხმარებელი საზოგადოების ნორმალური წესდების ფარგლებში

ცენტრალურ პუნქტებში უსათუოდ გამოცალკევებული უნდა იქნეს საქონლის განმანაწილებელი პუნქტები. ეს პუნქტები შესაძლოა მიენდოს უმთავრესად ადგილობრივი კოოპერატივების გამგეებს, მაგრამ არა „მინდობილობით“,—სულ ერთია „ზევიდან“ იქნება ეს, თუ „ქვევიდან“,—არამედ ადგილობრივ კოოპერატივების წარმომადგენლების ა რ ჩ ე ვ ი თ. ეს კი უკეთ მოსახერხებელია ცალკე მომხმარებელი საზოგადოების წესდების დამტკიცებით, რაც არ მოითხოვს დიდ დროს. ადგილობრივ პრაქტიკამაც დაადასტურა „მინდობილობის“ ცუდი მხარეები. ვურჩევ კავშირის გამგეებს შეეკითხონ ამის შესახებ თუნდაც სამტრედიის კოოპერატივის მმართველს ბ-ნ ლუკა დავითაიას და იგი გადაუშლის მათ იმ უხერხულობას, რომელიც იჩენს თავს ამ ნიადაგზე...

ამხ. კანდელაკის მიერ ნაჩვენები წესით დაარსებული პუნქტები სახიფათოა თვით კავშირისათვისაც. „სამტრედიის საგუბერნიო ბიუროსაც“ ეგონა, რომ პუნქტების დაარსება ადვილი იყო „ზევიდან“ და ძლიერ აჩქარდა ასეთი პუნქტების გაზეთის ფურცელზე „დაარსებით“, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. დრომ, ბოლო მოელოს იმას, რის უცხოველობაც უკვე გამოირკვა. კავშირი ამ დროებში მაინც ვერ შესძლებს ყველა პუნქტების დაკმაყოფილებას საქონლით და ასეთი გზით გამოიწვევს საყვედურებს ადგილობრივ კოოპერატივებში, რასაც იგი უნდა ერიდოს.

კავშირი უნდა დაეყრდნოს ადგილობრივ თვითმოქმედებას, მან უნდა წააქეზოს ადგილობრივი მომუშავენი თვით მოქმედების უნარის აღმოჩენაში და განამტკიცოს ადგილობრივ კოოპერატივებში სალი წარმოდგენა იმაზე, რომ საოლქო კავშირის წარმოდგენა განყენებულად, რაღაც ისეთ ძალათ, რომელიც ყველაფერს გააკეთებს და მხოლოდ ის იქნება კარგი, რაც მისგან გადმოცემით გაკეთდება,—დიდი შეცდომაა და დიამეტრალურად ეწინააღმდეგება საკოოპერაციო მოძრაობის ძირითად დებულებებს.

მოვუწოდოთ კოოპერატივებსა და ადგილობრივ მომუშავეთ თვითმოქმედებისკენ,—დე დაარღვიონ მათ ფორმალური მხარე, ოღონდ სალად დაიცვან კოოპერაციის აღმაშენებლობის ძირითადი პრინციპები, ნუ შევუშლით ხელს რაიონულ კავშირების აღმაშენებლობის თავისუფალ ინიციატივას, თუ სადმე არსებითი შეცდომა იქნა დაშობილი, მივეშველოთ და გამოვასწოროთ,—და გირწმუნებთ, რომ მხოლოდ ასეთი გზითაა შესაძლო ნაჩქარევად დაარსებული ამიერ-კავკასიის კავშირის მომაგრება და სალი საკავშირო აღმაშენებლობისთვის მტკიცე საძირკვლის ჩაყრა.

იასონ გაბილაია

(შემდეგი იქნება).

*) სულ ამწერილებათ მოწვეულნი არიან შორაპნის მაზრაში 53 კაცი, ამათში 40-ზე მეტი მასწავლებლებია. უცნ.

## რუსეთი.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა ჩრდილოეთ რუსეთში გამრავლებულ იქნას მეტეოროლოგიური ქარხნები.

— —

მემარჯვენეები დიდათ უკმაყოფილნი არიან მიწადმოქმედების მინისტრ ნაუმოვისა. უკმაყოფილება გამოუწვევია ნაუმოვის საზოგადო ორგანიზაციებისათვის [illegible] დღობის გამოცხადებას. „ნოვოე ვრემია“-ს ცნობით, ამ [illegible] ნაუმოვი გადაყენებულ [illegible] ფელს თ-დი [illegible].

— —

ფინლიანდიის ქაღალდის ფასი ომის გამოცხადების შემდეგ 300 პროცენტით გაძვირებულა.

— —

პეტროგრადში გარდაიცვალა რუსის ცნობილი ნაროდნიკი „მწერალი ივანჩიკ პისარევი. განსვენებული დამაარსებელია ჟურნ. „რუს. ბოგატსტვო“-სი.

— —

გაზეთი „დენი“ წინასწარ სამხედრო ცენზურას დაუმქვემდებარეს.

— —

პეტროგრადში პრემიერ შტიურმერის ბინაზე აფეთქება მოუხდენიათ. აფეთქების დროს პრემიერი სახლში არ ყოფილა. აფეთქებას უმსხვერპლია შტიურმერის ბავშვების აღმზრდელი და ერთი მოსამსახურე.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

## განცხადება.

ქუთაისის გუბერნიის ვეტერინარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია,

ქ. ქუთაისი, გოსპიტლის შესახვევი, გიორგაძის სახლი.

პროფესორ დანიჩის და მერეჟკოვსკის ვირთხის და თაგვის მომკვლელი

ბაცილების ბულიონური კულტურა.

ბოთლის მთელი შეცულობა—ბოთლის გახსნისთანავე, უნდა შეურიო პურის ფქვილის ორ წილს და მოზილოთ ამ ბულიონით სქელი ცომი. შემდეგ ეს ცომი უნდა დაასინწილოთ გრძელ-გრძელ ნაფლეტებათ, ამათ ჩამოაცილოთ კაკლის ოდენი ნაჭერი და ეს პატარა ნაჭრები შეაგდოთ ვირთხის ან თაგვის ხვრელებში (სოროებში). გარდა ამისა შეიძლება ეს ნაჭრები გააბნიოთ იქ, სადაც ვირთხები ან თაგვები გეგულებათ. მზის სხივების პირდაპირ მათი დაწყობა არ შეიძლება, რადგანაც ამიდგან ბაცილები იღუპებიან. ვირთხები ან თაგვები დაიღუპებიან მეშვიდე დღის შემდეგ ხსენებული ნაჭრების დაწყობიდან. დახოცილი ვირთხები და თაგვები შეიძლება ვერც კი ნახოთ, რადგან ავადმყოფ ვირთხებსა და თაგვებს, ვიდრე დაიხოცებოდნენ, ვირთხებივე ან სხვა მტაცებელი ცხოველები სჭამენ ხსენებული ბაცილები (ესე იგი ვირთხის და თაგვის ტიფის ბაცილები) უვნებელია ფრინველისა, სხვა ცხოველისა და კაცისათვის ეს საშუალება ერთი თვის შემდეგ დამზადებიდგან აღარ მოქმედებს დამზადების დროს ბოთლს იარლიკზე აწერია.

ფასი ერთი ბოთლისა ერთი მანეთი.

ქუთ. გუბ. ვეტ. ინსპ. მოწ. ლაბორატორიის გამგე მიხ. ფარცვანიძე.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჭაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს ს ყმაწვილობს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ [illegible]ებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და საჭმელ-სასმელი ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით
თ

## სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გამჯობესებულ ფრანგულ ექ. დე ვეზის პრეპარატის საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, მხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

9—(წლიური)